[მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი]

[34-ე სესია, ბრაზილია, 2010]

გადაწყვეტილება: 34 COM 7B.88

ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი (საქართველო)

(C 710)

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა,

1. **შეისწავლა** რა დოკუმენტი WHC-10/34.COM/7B.Add,

2. **იხსენებს** რა 33-ე სესიაზე მიღებულ ***33 COM 7B.103*** გადაწყვეტილებას (სევილია, 2009),

3. **ითვალისწინებს** რა წევრი-სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას "ბაგრატის ტაძრის წინასწარი სარეაბილიტაციო პროექტის" შესახებ, ანგარიშს ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შესახებ და ანგარიშს "ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ"

4. **ითვალისწინებს** რა ძეგლზე მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM- ის ერთობლივი სათათბირო მისიის შენიშვნებს,

5. **გამოთქვამს** სერიოზულ შეშფოთებას წევრი სახელმწიფოს მიერ ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოების ჩარჩოებში ძეგლზე განხორციელებული შეუქცევადი ინტერვენციების გამო, რომლებიც განხორციელდა როგორც პროექტის, ისე ძეგლის განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო მახასიათებლებზე, მის ერთიანობასა და ავთენტურობაზე ამ სამუშაოების ზემოქმედების წინასწარი განხილვისა და დამტკიცების გარეშე;

6. **მოითხოვს** წევრ სახელმწიფოსგან, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შემდგომი ინტერვენციები ბაგრატის ტაძარზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მახასიათებლებს, მის ერთიანობასა და ავთენტურობას;

7. **ასევე მოითხოვს** წევრ სახელმწიფოსგან, რომ მან დაუყოვნებლივ მიიღოს და გაატაროს ყველა ზომა ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მახასიათებლების, მისი ერთიანობისა და ავთენტურობის დასაცავად და უზრუნველსაყოფად, ასევე კონსერვაციის თვალსაზრისით ძეგლის მდგომარეობის სამონიტორინგოდ და საკვლევად და მართვის გეგმის შესამუშავებლად, დასამტკიცებლად და განსახორციელებლად (ტურიზმის სტრატეგიის შემუშავების, ისტორიული შენობა-ნაგებობებისა და ძეგლების გამოყენების სახელმძღვანელო მითითებების, ქალაქის განვითარების გენერალური გეგმისა და ძეგლების კონსერვაციის გენერალური გეგმის ჩათვლით);

8. **იწვევს** წევრ სახელმწიფოს კონსულტაციებში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტები - საკონსერვაციო ინჟინრები და არქიტექტორ-კონსერვატორები, სადაც განიხილავენ ძეგლზე უკვე განხორციელებული ინტერვენციების

შედეგად გამოწვეული ზემოქმედებების სრული თუ ნაწილობრივი აღმოფხვრის საშუალებებს და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ზოგადი კონსოლიდაციის შესაძლებლობებს;

9. **მოითხოვს** სახელმწიფო მხარისგან, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და მის მრჩეველ ორგანოებთან თანამშრომლობით მოამზადოს ძეგლის ზოგადსაკაცობრიო განსაკუთრებული ღირებულების განაცხადი, 2011 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 35-ე სესიაზე განსახილველად.

10. **მიიჩნევს,** რომ წევრმა სახელმწიფომ არ დააკმაყოფილა კომიტეტის ***33 COM 7B.103*** გადაწყვეტილების ყველა მოთხოვნა, და ამდენად, სამოქმედო მითითებების ჯვ ბ თავის დებულებათა შესაბამისად, ძეგლი საფრთხეშია, რის საფუძველზეც **იღებს გადაწყვეტილებას, რომ ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის მონასტერი (საქართველო) შეიტანოს საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში;**

11. ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გათვალისწინებით **ამტკიცებს** ძეგლის კონსერვაციის სასურველ მდგომარეობას, რაც მიზნად ისახავს მომავალში მის ამოღებას საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან; სასურველი მდგომარეობა გულისხმობს:

   a) ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის შეჩერებას;

   b) ბაგრატის ტაძარზე უკვე განხორციელებული ინტერვენციების აღმოფხვრას (სრულად ან ნაწილობრივ);

   c) ბაგრატის ტაძრის ნანგრევების საერთო კონსოლიდაციის პროექტის შემუშავებას საერთაშორისოდ აღიარებულ კონსერვაციის ინჟინრებთან და არქიტექტორ-კონსერვატორებთან ერთად და ამ პროექტის განხორციელებას;

   d) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ტერიტორიის საზღვრებისა და ბუფერული ზონების საზღვრების ზუსტ და დეტალურ დადგენას;

   e) ყოვლისმომცველი მართვის სისტემისა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას, დამტკიცებასა და განხორციელებას. მართვის ეს სისტემა უნდა მოიცავდეს მართვის ინტეგრირებულ გეგმას, ტურიზმის სტრატეგიის შემუშავების, ისტორიული შენობა-ნაგებობებისა და ძეგლების გამოყენების სახელმძღვანელო მითითებებს, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ყველა შემადგენელი კომპონენტის გენერალურ გეგმას მათი საზღვრებისა და მათ გარშემო არსებული ბუფერული ზონების საზღვრების მითითებით და ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმას მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

   f) ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის ისტორიული ძეგლებისა და მონუმენტების კონსოლიდაციისა და კონსერვაციის გრძელვადიან უზრუნველყოფას;

12. **ამტკიცებს** შემდეგ გამოსასწორებელ ზომებს და მათი განხორციელების გეგმა-გრაფიკს:

   a) ცვლილებები, რაც საჭიროებს დაუყოვნებლივ განხორციელებას:

- ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის დაუყოვნებლივ შეჩერება და საერთაშორისოდ აღიარებულ კონსერვაციის ინჟინრებთან და არქიტექტორ-კონსერვატორებთან კონსულტაციების ორგანიზება, სადაც განიხილავენ ძეგლზე უკვე განხორციელებული ინტერვენციების შედეგად გამოწვეული ზემოქმედებების სრული თუ ნაწილობრივი აღმოფხვრის საშუალებებს და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ზოგადი კონსოლიდაციის შესაძლებლობებს;

b) ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 1-დან 2 წლამდე ვადაში:

- ძეგლზე უკვე განხორციელებული ინტერვენციების აღმოფხვრა სრულად ან ნაწილობრივ (რაც უნდა გავრციელდეს ტაძრის საძირკვლის ირგვლივ მოწყობილ რკინა-ბეტონის მიწისქვეშა სარტყელზე)

- ბაგრატის საკათედრო ტაძრის ნანგრევების ზოგადი კონსოლიდაციის პროექტის შემუშავება კსაერთაშორისოდ აღიარებულ ინჟინერ-კონსერვატორებთან და არქიტექტორ-კონსერვატორებთან კონსულტაციების საფუძველზე და მათთან ერთად;

- ძეგლის ყველა კომპონენტის ფიზიკური კონსერვაციის მონიტირინგის რეჟიმის შემუშავება მისი გრძელვადიანი კონსერვაციის, კონსოლიდაციისა და დაცვის უზრუნველსაყოფად;

- ინსტიტუციური თანამშრომლობისა და საქმიანობის კოორდინაციის ნათელი მექანიზმის შემუშავება და დანერგვა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძეგლის კონსერვაციას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სამთავრობო გადაწყვეტილებების პროცესში

c) ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2-დან 3 წლამდე ვადაში:

- ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ყველა კომპონენტის დაცვასა და მოვლა-პატრონობას მათი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მუდმივად შესანარჩუნებლად;

- ყოვლისმომცველი მართვის სისტემისა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება. მართვის ეს სისტემა უნდა მოიცავდეს მართვის ინტეგრირებულ გეგმას, ტურიზმის სტრატეგიას, ისტორიული შენობა-ნაგებობებისა და ძეგლების გამოყენების სახელმძღვანელო მითითებებს, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ყველა შემადგენელი კომპონენტის გენერალურ გეგმას მათი საზღვრებისა და მათ გარშემო არსებული ბუფერული ზონების საზღვრების მითითებით და ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმას მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

d) ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 5 წლამდე ვადაში (2-3 წლის შემდეგ, საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან შესაძლო ამოღების შემდეგ):

- ყველა ისტორიული ძეგლის დოკუმენტაციისა ადა რეგისტრაციის დასრულება მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმატში მათი მართვის, კონსერვაციისა და დაგეგმვის მიზნით;

- ყველა ძეგლზე არსებული მხატვრობის ყველა ნიმუშის სრული ინვენტარიზაცია და უშუალოდ მათი და მათ შესახებ მითითებების მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა;

- შეთანხმებული სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება ყველა ძეგლზე, კედლის მხატვრობის ჩათვლით;

- გელათის მონასტრის ეკლესიების სტრუქტურული ნაწილების კონსერვაციისა და რესტავრაციის კომპლექსური პროგრამის შემუშავება და განხორციელება;

- გელათის მონასტრის ეკლესიების, ინტერიერის, კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მუდმივი დასუფთავების, კონსერვაციისა და რესტავრაციის კომპლექსური პროგრამის შემუშავება შესაბამისი სპეციალობის საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;

13. ასევე **მოითხოვს**, რომ წევრმა სახელმწიფომ 2011 წლის 1-ლი თებერვლისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარუდგინოს ანგარიში ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს მართვის გეგმის სამუშაო ვერსია-პროექტის ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმატის სამ-სამი ეგზემპლარი, და რომლებსაც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი განიხილავს 35-ე სესიაზე, 2011 წელს, იმის გათვალისწინებით, რომ თუ ბაგრატის საკათედრო ტაძარზე კვლავ გაგრძელდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, **შესაძლოა ძეგლი მოვიდეს შესაბამისობაში სამოქმედო მითითებების IV.C თავის დებულებებთან, რაც გულისხმობს ძეგლის საბოლოო ამოღებას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან.**